

**გრიგოლ ბაგრატიონის
საზოგადოებრივი ხვედრის
პოეტური ანარეკლი
POETIC REFLECTION
OF WORLD FATE
BY GRIGOL BAGRATIONI**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Avtandil Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The poetic work of Grigol Bagrationi (1789-1830) (one of the representatives of Georgian emigrant literature at the turn of the 18th-19th c.) is interesting primarily in terms of understanding the national problem. He was the son of Ioane (the son of the last king of Kartli-Kakheti - George XII), a famous writer and encyclopedist. Due to his active participation in the 1812 uprising against the Russian colonial regime, G. Bagrationi was deported to Russia to serve his sentence. From that time on, he spent his entire life in exile. His poetic creativity is accompanied by a nostalgia for forced separation from his homeland. Grigol Bagrationi mainly focused on the national problem. Apart from his lyrical poems, he also wrote epic works in regard to the above-mentioned theme. In this respect, his “Kartlis Tskhovreba” (written in a poetic form) is especially interesting.

Those phraseological syntagmas and elements of tropes are of interest that are widely used in the poetic texts by Grigol Bagrationi, which actually provide a certain basis for emphasizing the affinity between the poetic legacy of Gr. Bagrationi and that of the Georgian Romanticists. His poetry is also diverse in terms of versification. The author employs the metric patterns that are widely established in the works of his predecessors as well as his contemporary Georgian poets.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, ეროვნული პრობლემა, გრიგოლ ბაგრატიონი.

Keywords: Georgian poetry, national problem, Grigol Bagrationi.

ამთავითვე გულახდილად ვიტყვი: არათუ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცნობი, არამედ ლიტერატურათმცოდნეთა მიერაც კი ნაკლებად ყურადღებამიქცეული ქართველი ემიგრანტი პოეტის – გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებამ პირადად მე, უპირველეს ყოვლისა, იმის გასარკვევად დამაინტერესა, რა მასშტაბითა და რაკურსით იყო წარმოჩენილი ეროვნული პრობლემა მის მხატვრულ ნააზრევში. რაც შეეხება სიტყვიერი ხელოვნების იმ დონეს, რითაც იგი თავისი გულისთქმის გამოხატვას ცდილობდა, ამ მიმართულებით მისი შემოქმედება ნაკლებად ფასეულ პოეტურ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობა ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს მხოლოდ სხვადასხვა მიზანდასახულობის მქონე კრებულებში გამოქვეყნებული მისი თითო-ოროლა ლექსით აქვს. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ამ ხარვეზის შევსების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ნაირა ბეპიევს, რომელმაც 2006 წელს გამოცემულ თავის მონოგრაფიაში არა მარტო გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედებითი ღვაწლი წარმოაჩინა მაღალ პროფესიულ დონეზე, არამედ საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებში დაცული მისი პოეტური ტექსტებიც მოიძია და გამოაქვეყნა (წინამდებარე ნარკვევში გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებიდან ჩემ მიერ ციტირებულ ფრაგმენტთა უმეტესობა სწორედ ხსენებულ წიგნში წარმოდგენილი პოეტური ტექსტებიდან იქნება დამოწმებული).

თავდაპირველად, გრიგოლ ბაგრატიონის პოეტური შემოქმედების უმთავრეს თემად არსებული ეროვნული პრობლემის ჩემეული თვალთახედვით გაანალიზების მცდელობამდე, მინდა მკითხველს მოკლედ მივაწოდო უმთავრესი ცნობები პოეტის ბიოგრაფიიდან.

გრიგოლ ბაგრატიონი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის შვილის, ცნობილი მწერლისა და ენციკლოპედიური შინაარსის მქონე ნაშრომის „კალმასობის“ ავტორის – იოანეს ვაჟი. იგი დაიბადა 1789 წელს თბილისში. გრიგოლს აქტიური მონაწილეობა მიუღია 1812 წლის კახეთის აჯანყებაში, რომელიც რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული კოლონიური მმართველობითი რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

როგორც სათანადო დოკუმენტური მასალებით დასტურდება, გრიგოლ ბაგრატიონი ამ აჯანყების პროცესში მისი დაწყებისთანავე ყოფილა აქტიურად ჩართული. აჯანყებაში გრიგოლის მონაწილეობა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენად იმითაც იქცა, რომ იგი ამბოხებულ მოსახლეობას მეფედაც აურჩევიათ. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ფრონელი კახეთის აჯანყების შესახებ 1907 წელს გამოცემულ თავის წიგნში: რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულმა კახელებმა „ქართლიდან მოიწვიეს ბატონიშვილი გრიგოლ იოვანეს ძე. ეს გრიგოლი მათ მეფედ გამოაცხადეს, მისის სახელით დაიწყეს ბრძოლა და სრული პროტესტი გამოუცხადეს რუსის მთავრობას, რომელმაც, კახელების აზრით, უკანონოდ და წინააღმდეგ ხელშეკრულობისა, მოშალა მეფობა და სამეფოს ნანგრევებზე ააგო კაპიტან-ისპრავნიკების, კამისიონერების და საეგზეკუციო კამანდების უფლება-ბატონობა“ (ფრონელი 1907: 99).

ალ. ფრონელი გამონაკლისი არ ყოფილა და გრიგოლ ბაგრატიონის გამეფების შესახებ წერილობით ცნობებს სხვა ავტორებიც გვაწვდიან. ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა პროფ. ნიკო ჯავახიშვილმა და მის მიერ უკანასკნელ ქართველ მეფედ მიჩნეული ამ პიროვნების გამეფებას ასეთი შეფასება მისცა: „გრიგოლის სამეფო ხელისუფლება ვრცელდებოდა კახეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე (გარდა თელავისა და ყარაღაჯისა) და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, ანუ არაგვის ხეობაზე. მისი გამეფებით გამოწვეული ქართველთა სიხარული გაიზიარეს თავისუფლებისმოყვარე ჩრდილოკავკასიელმა მთიელებმა, კერძოდ, დაღესტნელებმა და თავაურებმა ოსებმა, ასევე ქართლ-კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებმა თურქმანული მოდგმის ტომებმა – ბორჩალოელებმა და ყაზახელებმა, რომლებიც ქართველ მეფეებს ტრადიციულად ერთგულად ემსახურებოდნენ“ (ჯავახიშვილი 2008: 37).

სამწუხაროდ, გრიგოლ ბაგრატიონის მეფობის პერიოდი მეტად ხანმოკლე გამოდგა. კერძოდ, ნიკო ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, ამ საპატიო მოვალეობას იგი მხოლოდ 1812 წლის 20 თებერვლიდან 6 მარტამდე ასრულებდა (იქვე: 72).

რუსეთის სამსახურში მყოფმა ქართველმა დიდგვაროვნებმა აჯანყების დამარცხების გამო კახეთიდან დაღესტანს თავშეფარებულ გრიგოლს სპეციალურად მიუგზავნეს მისი მახლობელი თავადი ზაზა ანდრონიკაშვილი. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის პოეტი „ახალ იუდად“ და „ჯოჯოხეთს დაფსკერებულ ეშმაკად“ შერაცხული ამ პიროვნების მიერ არა მარტო პირადად მისი, არამედ მთელი ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილ მზაკვრულ ქმედებასთან დაკავშირებით:

კამბეჩოვანსა აღზრდილმან ზაქმან ზაზამან წყეულმან,
პატრონის ორგულობაზედ სანიადაგოდ ჩვეულმან,
იუდას მსგავსად ვერცხლისა მოყუარებითა ძლეულმან,
ანგარებით დანთქმულმან, კერპთმსახურებით სწეულმან.
რა ნახა ჩემი მათდმი მიდრეკა, მიზიდულობა
და რომე სიყვარულითა მათით მემატა წყლულობა,
კვლავ აღძრა ენა ცთუნებად, ჰყო მშვილდთა მოზიდულობა,
ბოროტს ვიცნობდი, რამე ვყო, მძლევედა გონება-ყრმულობა.

ზაზა ანდრონიკაშვილის პოეტი მზაკვრულად დაურწმუნებია იმაში, რომ თუ სასწრაფოდ არ გამოცხადდებოდა გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულიჩთან, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა კახეთის აჯანყების ჩახშობის სამხედრო ოპერაციას, მაშინ მას მშობლებს ამოუწყვეტდნენ. აი, როგორ გამოხატავს პოეტი ამ ამბის შეტყობით განპირობებულ თავის სულიერ სასოწარკვეთას:

რა ესე მესმა, ავენთე მშობელთა სიყვარულითა,
ვსთქვი, თუ მართალსა უბნობდეს არა პირითა, გულითა,
მშობელთა ევნოს ჩემ მიერ და ესრეთ სიარულითა,
რად მინდა თავი ცოცხალი უმათოდ სიხარულითა.
ჩემგან სატრფონი, მშობელნი თუ მიხუდენ ჩემგან წყენასა,
რად მინდა სოფლის დიდება, სად რად მივეცე ლხენასა,
საგონებელსა მივეცი და თუალთა ცრემლთა დენასა,
მან ბილწმან ესრეთ მიხილა, მიეცა მაღლად ფრენასა.

ზაზა ანდრონიკაშვილის მიერ ამგვარი მზაკვრული ქმედებით მოტყუებული გრიგოლი საკუთარი ნებით გამოცხადდა მარკიზ პაულიჩთან, რომელმაც პოეტს „ტკბილი ენით“ გაუბა საუბარი და ურჩია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი გრიგოლისათვის უმჯობესი იქნებოდა პეტერბურგში წასულიყო, სადაც რეალურად მიეცემოდა ხელმწიფის ნახვისა და წარმატებული მოღვაწეობის შესაძლებლობა:

მარკიზი ვნახე თელავსა, დამხუდა ტკბილისა ენითა,
წასულა მირჩია ჩრდილოეთს, სწრაფვა სწრაფისა რბენითა...
მარკიზი მეუბნებოდა მრავლისა იმედებითა,
პეტერბურხს ილხენ მრავლითა კეთილით სახილუებითა,
მონარხსა ნახავ, აღგავსებს მრავლითა სანიჭებითა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მარკიზ პაულიჩის დაპირება მორიგი მზაკვრობა გამოდგა და პეტერბურგში ჩასული გრიგოლი დააპატიმრეს. სასჯელის მოსახდელად იგი ჯერ ქალაქ ოლონეცკში გაგზავნეს, იქიდან კი პეტროზავოდსკში გადაიყვანეს.

პეტროზავოდსკში გრიგოლს ერთი წელი დაუყვია, სასჯელის მოხდის შემდეგ კი საკუთარი სურვილით რუსულ არმიაში დაუწყო სამსახური და მონაწილეობა მიუღია რუსეთის მიერ ევროპის ქვეყნებში მოწყობილ სამხედრო ოპერაციებში.

რუსეთში ცხოვრების დიდი ნაწილი პოეტს ასტრახანში გაუტარებია, თუმცა დროდადრო ამ ქვეყნის სხვა ქალაქებშიც უხდებოდა ცხოვრება; ხანდახან კი საქართველოშიც ახერხებდა ხანმოკლე დროით ჩამოსვლას.

ცხოვრების უკანასკნელი წლები გრიგოლ ბაგრატიონმა სანკტ-პეტერბურგში გაატარა და იქ არსებული ქართული კოლონიის აქტიური წევრი გახდა.

გრიგოლ ბაგრატიონი გარდაიცვალა 1830 წელს. დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გრიგოლ ბაგრატიონის პოეტური შემოქმედებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მის ლექსებში რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც ვლინდება მეტ-ნაკლები სახით. ეს განსაკუთრებით ითქმის მის იმ პოეტურ ტექსტებზე, რომლებშიც ავტორის პატრიოტული გრძნობებია სიტყვიერად ხორცშესხმული. მაგალითად:

ბედკრულსა შემთხვევას შევხვდი მწარესა,
მოვაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა,
სატრფოს, დედასა - გულ მლმობარესა,
აწ ვიგლოვ პყრობილი მყინვართ მხარესა.
ერთგულთა თან ზრდილთა მოყუსად მჟმარესა,
ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლსა ღვარესა;
ესე სჯობს, ვითხრიდე თვით სამარესა.
...ჰსჯობდა მამულისთვის მოკვლა თავისა,
მტრისგან არ მიმეღო ფიცი ზავისა,
ტყვეობით რა ვნახე - კიდე ავისა!
გმართებს, ყმანო, ჩაცმა ჩემზედ შავისა,
ჰსწუხდეთ, მცხეთის კერძო, სად დამფარესა!

ვსტირ თავსა ჩემსა, ვღვრი ცრემლსა ღვარესა,
ესე სჯობს ვითხრიდე თვით სამარესა.

დამოწმებული ფრაგმენტი გამოჩაგლისი არ არის და მასში ესოდენი სიმძაფრით გამოხატული ეროვნული ტკივილი და სამშობლოსგან იძულებითი განშორებით განპირობებული ნოსტალგია გამჭოლ ხაზად გასდევს მთელ მის პოეტურ ნააზრევს. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ კიდევ ერთ მაგალითს პოეტის შემოქმედებიდან:

ამისთვის გბრალდეთ ჩემთვის გულები,
შეიტკივნეთ, ჰსცანთ დაფარულები
და დიდის სასკიპტროს სახლის შვილები
სად ვიდევნებით დაქსაქსულები.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გრიგოლ ბაგრატიონის პოეტური მემკვიდრეობა დღევანდელი მკითხველისათვის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დამოწმებულ ფრაგმენტებში გამოხატული ეროვნული პრობლემის განსჯა-გააზრების თვალსაზრისითაა საინტერესო. მიუხედავად იმისა, რომ პოეტური ოსტატობის მხრივ გრ. ბაგრატიონის ლექსები აშკარადაა მოკლებული ქართული პოეზიის დიდოსტატთა ქმნილებებისათვის დამახასიათებელ სიტყვიერ გრძნეულებებს, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა გარკვეული მნიშვნელობის მქონე სულიერ ფასეულობად მაინც თუნდაც იმიტომაც უნდა მივიჩნიოთ, რომ მათი მეშვეობით კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა გვეძლევა იმ დამოკიდებულების შესაცნობად, რომელსაც შესაბამისი პერიოდის ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი იჩენდა ეროვნული პრობლემებისადმი.

როგორც ითქვა, გარდამავალი პერიოდის სახელით ცნობილი ქართული მწერლობის ამ მოკრძალებული წარმომადგენლის შემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ აღნიშნული თვალსაზრისითაა საინტერესო. კერძოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით განპირობებული ეროვნული გულგატეხილობის გამოხატველი მისი პოეტური ელემენტები არა მარტო თემატურად ეხმიანება ავტორის დროინდელი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა, პირველ ყოვლისა კი რომანტიკოს პოეტთა, შემოქმედებას, არამედ ეროვნული პრობლემის გააზრების შედეგად წარმოქმნილ ელემენტარულ განწყობილებათა აშკარა მსგავსებითაც.

გრ. ბაგრატიონის ამგვარ სულიერ დეპრესიას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენდა ის გარემოება, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი პოეტი, რომელიც ხანმოკლე დროის განმავლობაში თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც ბაგრატიონთა სამეფო გვირგვინის მფლობელადაც იქცა, ამბოხებაში მონაწილეობის გამო სამშობლოდან სამუდამოდ გადასახლებით დასაჯეს. როგორც გრ. ბაგრატიონის შემოქმედებიდან თვალნათლივ ჩანს, სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენით განპირობებული სულიერი დეპრესიის გამოხატვა იქცა მისი პოეტური მოღვაწეობისთვის უმთავრესი მიმართულების მიმცემ ფაქტორად.

გრ. ბაგრატიონის, როგორც პოეტის, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით შეძლო ქართული ემიგრანტული მწერლობის

უპირველეს თემად დამკვიდრებული ეროვნული პრობლემისათვის პოეტური გამოხატვის მისეული ფორმის მოძებნა. იმის ნათელსაყოფად, როგორ და რა პოეტურ დონეზე შეძლო მან ამის გაკეთება, დავიმოწმებ ფრაგმენტს ამ თემაზე შექმნილი მისი ერთ-ერთი ლექსიდან, რომელშიც თავის ქვეყანას იძულებით განშორებული პოეტი სამშობლოში დარჩენილ თანამემამულეებს ამგვარი ფორმით უმჟღავნებდა პირადად თავის და ასეთსავე ბედში მყოფ ქართველთა ნოსტალგიურ გრძნობებს:

გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყვარულ ძმურით,
თქვენ იხარებდეთ, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით...
მოგვუძაგდა თავი მიმოსლვითა სხუასა არესა,
ერთა მუდარა და შეხვეწნა კარის კარესა,
ოი, ვით შევხვდი ამისთანას შესაზარესა,
სიცოცხლე ტკბილი თქვენდა გვაქუნდა, გაგვამწარესა.

ეროვნული პრობლემის გააზრებას მეტი მასშტაბი გრიგოლ ბაგრატიონმა იმითაც შესძინა, რომ, გარდა ლირიკული ლექსებისა, მან ამ თემაზე ეპიკური ნაწარმოებების შექმნაც ცადა. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, მის მიერ გალექსილი „ქართლის ცხოვრება“ მინდა გავიხსენო, რომელშიც პოეტი რუსთაველური შაირის ვერსიფიკაციული ფორმით მოკლედ და ფრაგმენტულად ყვება ჩვენი ქვეყნის ისტორიის „ქართლის ცხოვრებისეულ“ ვერსიას.

გრიგოლ ბაგრატიონის ნოსტალგიური გრძნობები განსაკუთრებული ემოციური სიმძაფრით გამოვლინდა პატიმრობის პერიოდში შექმნილ მის პოეტურ ტექსტებში. როგორც უკვე ითქვა, კახეთის ამბოხებაში მონაწილეობის გამო იგი სასჯელის მოსახდელად ოლონეცკსა და პეტროზავოდსკში გაამწესეს. როგორც გრ. ბაგრატიონის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან თვალნათლივ ჩანს, იმდროინდელი მისი შემოქმედების უმთავრეს თემად სწორედ პოეტის ნოსტალგიურ გრძნობათა გამძაფრებული და ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოხატვა არის დამკვიდრებული.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი პოეტური შესაძლებლობები გრიგოლ ბაგრატიონმა ყველაზე მეტად სწორედ ამ პერიოდში შექმნილი თავისი ლექსებით გამოავლინა. კერძოდ, მის იმდროინდელ შემოქმედებაში აშკარად ხელშესახები ფორმით წარმოჩინდა ის პოეტური ტენდენციები და მსოფლმხედველობრივი ნიშან-თვისებები, რომელთა წარმოსახვასაც ქართველმა რომანტიკოსებმა თვისებრივად სრულიად ახალი მასშტაბი შესძინეს. ხსენებული ტენდენციის წარმომჩენი ნიშან-თვისებები ყველაზე მეტად გრ. ბაგრატიონის იმ ლექსებში გამოვლინდა, რომლებშიც პოეტი თავის ნოსტალგიურ გრძნობებს წარმოაჩენს. სამშობლოს მონატრებით განპირობებული სულიერი დეპრესიის გამოხატვას იგი განსაკუთრებულ სიმძაფრეს თავისი სულიერი სასოწარკვეთის წარმომჩენი იმ რეფრენებითაც სძენს, რომელთაც იგი მიზანსწრაფულად იმეორებდა ლექსების ყოველი მონაკვეთის ბოლოს. მაგალითად:

სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის ძალები.
მარად მიოხავს გულსა ძალები,
ამაოდ მდინდეს ცრემლთა თუალები.

არა სად ვინ ჩანს ჩემი მბრალეები,
რომელმან ესე ცეცხლის ალები
დამშრიტოს, გულსა მასხას წყალები
და მით მიკურნოს ღაწვნი ნალები,
დღენი მომეცნეს სხუა ახალები.
სევდამ მომხვია გულსა ბრწყალები,
ზედ დამრთო ჭირნი მალის მალეები.

ან კიდევ:

ცამან ჩრდილოთით დაცაგუფარნა შავისა ღრუბლით,
ივერთა მზენი ვეღარ ბრწყინუნენ ივერად ხშულით,
ეჰა, მოყმენო, ეჰა, ძმანო, თქვენ რად ხართ ლულით,
რად არ იქნებით განღვიძებით, გონებით სრულით.
ჩვენ ზღვასა შინა ჩაცვივნულნი ლიქვნითა კრულით,
გახსოვდეთ მაინც, გვიგონებდეთ სიყუარულ მმურით,
თქვენ იხარებდით, ჩვენ კარგულნი ვიქნებით ურვით.

თავისი ნოსტალგიური გრძნობებისა და სულიერი ობლობის წარმოსაჩენად გრ. ბაგრატიონი ხშირად იყენებდა ისეთ მეტაფორიზებულ ფრაზებსა და ხატოვან გამოთქმებს, რომელთა ანალოგები ხშირად გვხვდება როგორც წინამორბედი და მისი დროის ჩვენი ემიგრანტი პოეტების, ისე ქართველი რომანტიკოსების ლექსებში. მაგალითად: „ესრეთ უბედო სვისაგან ქმნილი, ვარ არავისგან ნუგეშცემული;“ „არ მაქვს სავანე, არც ნავთსადგური, მეზრდვის ხუედრისა ცვლილება, შური;“ „მოყუასნო, თქვენგანც დავიწყებული, ვკუდები, ცეცხლი მწვავს მძლედ მხურვალეები;“ „მოგუმაგდა თავი მიმოსლვითა სხვათა არესა, ერთა მუდარა და შეხვეწნა კარის კარესა;“ „ბედკრულსა შემთხვევას შევხვდი მწარესა, მოვაკლდი ქართლისა ტკბილსა არესა... აწ ვიგლოვ პერობილი მყინვართ მხარესა, ერთგულთა თან ზრდილთა მოყუსად მკმარესა;“ „სოფლისა სამოთხე - ქვეყანა შენი, ბუნებით კეთილი, ზენით ნაშენი, მუნებურ ქალ-ყმანი, მზეებრ ნაშენი, დაჰკარგე, რაღას სტირ ცრემლმონაშენი...“

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პრობლემის ამგვარი სახით გააზრება და ნოსტალგიურ გრძნობათა წარმოსახვა გრიგოლ ბაგრატიონის მთელს შემოქმედებას გასდევს გამჭოლ ნაკადად, აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებული სიმძაფრით მაინც პოეტის პატიმრობის დროინდელ ლექსებში ვლინდება.

გრიგოლ ბაგრატიონის პოეტურ შესაძლებლობათა შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა მის იმ პოეტურ ტექსტებზეც მინდა ვთქვა, რომლებშიც ავტორის ინტიმური გრძნობებია გამოხატული. ხორციელი ვნებების ექსტაზურად წარმომჩენ ამ ლექსებში გრიგოლ ბაგრატიონი მრავალფეროვანი ეპითეტებითა და ფერადოვანი სიტყვებით ასხამს ხოტბას მიძღვნის ობიექტებად ქცეულ ქალთა ფიზიკურ სილამაზესა და საკუთარ სასიყვარულო გრძნობას მათ მიმართ.

წინამორბედი და თავისი დროის ცნობილი ქართველი პოეტების (პირველ ყოვლისა – ბესიკის) პოეტური შემოქმედებიდან კარგად ცნობილი ხატოვანი სიტყვა-გამოთქმებისა და ეპითეტების ჭარბად გამოყენების გზით იგი აქტიურად ცდილობს, რაც შეიძლება ეფექტური

ფორმით გამოხატოს თავისი ინტიმური გრძნობები და მისწრაფებანი. მის ამ მცდელობას პოეტი მეტ სიმძაფრეს იმ პოეტური რეფრენებითაც სძენს, რომელთაც მიზანსწრაფულად ურთავს ცალკეულ მონაკვეთებად დაყოფილი ამ ლექსების ყოველ მონაკვეთს. მაგალითად, ერთ-ერთ ლექსში ამგვარი რეფრენის ფუნქცია პოეტმა ამ სტრიქონებს დააკისრა: „დამწუვარს მომხედე, შეგებრალე, გნებავს, განმკურნავს შენი ხალები;“ მეორეგან – ამ სტრიქონს: „მშვილდთა მისთაგან მე შევიქმენ განსახელებლად;“ მესამეგან – ამ სტრიქონებს: „პირსა მთუარესა შუენის ქებანი, შავის ხალებით მოვანებანი“ და ა. შ.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულ პოეზიაში ამ მხატვრულ ხერხს, როგორც ინტიმურ გრძნობათა ეფექტური ფორმით გამოხატვის პოპულარულ საშუალებას, ფართოდ იყენებდა იმხანად მოღვაწე ქართველი პოეტების უმეტესობა. ასე რომ, გრიგოლ ბაგრატიონის პოეზია ამ თვალსაზრისით გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა.

იგივე უნდა ითქვას იმ პერიოდის ქართულ პოეზიაში (განსაკუთრებით ბესიკის ლექსებში) ფართოდ გამოყენებულ ისეთ ეპითეტებსა და ლექსიკურ ერთეულებზე, როგორებიცაა: ზილფი, კავები, ვარდის კოკორი, მელნის ტბა, წელი წერწეტა – მსგავსი ალვისა, ბალის ყვავილი, ბროლ-ბალახში და მისთანანი, მათი ჭარბად გამოყენების გზით ავტორი ცდილობს ჰიპერბოლიზებული სახით გამოხატოს, ერთის მხრივ, ზღვარდაუდებელი აღფრთოვანება მიძღვნის ობიექტად ქცეული ქალის ფიზიკური სილამაზისადმი, მეორეს მხრივ კი, თავისი ინტიმური გრძნობები და მისწრაფებანი. მაგალითად:

ედემ ნაზარდი, კეკელა, ბანოვანთ თავი ვარვარა,
კეკლუცთა შორის უტკბოსი, პირ-ბადრებული ვარვარა,
შვიდნი ცთომილნი მეტყვიან, შენ დაგნატრიან, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.
სამოთხის ბალის ყვავილო, საყნოსად მაქუნდი, ვარვარა,
უფრჴვნელო ვარდის კოკორო, მზით გაფურჩენილო, ვარვარა,
ბულბული მოჰკალ უწყალოდ, მშობელთ გულ მიე, ვარვარა,
ამად ვსტირ, ნუთუ არ მომხვდეს მე სიცოცხლითა ვარვარა.

როგორც მკითხველი ყოველივე ზემოთქმულიდანაც დაინახავს, სასიყვარულო გრძნობათა გამომხატველ თავის ლექსებში გრ. ბაგრატიონი ხოტბას, უპირველეს ყოვლისა, ამ ლექსების ობიექტებად არსებულ პიროვნებათა ფიზიკურ სილამაზეს ასხამს. ამ სილამაზის წარმომჩენ პოეტურ აქსესუარებად (ეპითეტებად, მეტაფორულ გამოთქმებად, შედარებებად) ძველ ქართულ პოეზიაში ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპულ ხატოვან გამოთქმებად დამკვიდრებული პოეტური საშუალებანია ქცეული. ამას ემატება ისიც, რომ ინტიმურ გრძნობათა ჰიპერბოლიზებული სახით გამოსახატავად ავტორი მეტწილად ძველ ქართულ პოეზიაში ფართოდ დამკვიდრებულ სალექსო სახეობებს, პირველ ყოვლისა კი მუხამბაზს, იყენებს. მაგალითად:

პირსა მთუარესა შუენის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი,
მისით მომეცა ცეცხლთა დებანი,

ლამის მიმილოს მე გონებანი,
თუ დამიძვიროს ხმის მოსმენანი,
პირსა მთუარესა შუენის ქებანი,
შავის ხალებით მოვანებანი.

როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ბაგრატიონის დროინდელ ქართველ ემიგრანტ მწერალთა შემოქმედებაში ეროვნული პრობლემის განსჯა-გააზრება განსაკუთრებული მასშტაბის მომცველ მოვლენადაა ქცეული, მათი არაერთი წარმომადგენელი საღალღობო ხასიათის მხატვრული ტექსტების შექმნიდან იყო გატაცებული. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს მათ მიერ საკმაოდ მრავლად შექმნილი ანბანთქებები, იუმორისტული და ერთმანეთის განმაქიქებელი ნაწარმოებები და მსგავსი შინაარსის მქონე მხატვრული ქმნილებანი.

აღნიშნული კუთხით გამოწაკლისი არც გრიგოლ ბაგრატიონია და მის შემოქმედებაში ამ ტიპის პოეტურ ტექსტებს, განსაკუთრებით კი ანბანთქებებს, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ბაგრატიონის პოეტური შემოქმედება სიტყვიერი ოსტატობის მხრივ განსაკუთრებული მხატვრული სიახლეებით არ გამოირჩევა, შეიძლება ითქვას, რომ მის პოეზიაში მეტ-ნაკლებად ხელშესახები ფორმით მაინც ვლინდება შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობისთვის აშკარად ნოვატორული ზოგიერთი ტენდენცია. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მის პოეტურ ტექსტებში ფართოდ ხმარებული ის ენობრივ-ფრაზეოლოგიური სინტაგმები და ტროპული ხატწერის ელემენტები, რომელნიც რეალურად ქმნიან გარკვეულ საფუძველს გრ. ბაგრატიონისა და ქართველი რომანტიკოსების პოეტურ მემკვიდრეობას შორის არსებული სიახლოვის ხაზგასასმელად.

აქედან გამომდინარე, პირადად ჩემთვის სავსებით მისაღებია მკვლევართა მიერ უკვე გამოთქმული ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქართულ მწერლობაში რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ ტენდენციასა წანამდგრები თავისებური ფორმით თავდაპირველად ე. წ. გარდამავალი პერიოდის ქართველი პოეტების (მათ შორის გრიგოლ ბაგრატიონისაც) პოეზიაშიც გამოვლინდა მეტ-ნაკლებად ხელშესახები ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები ქართველ რომანტიკოსთა პოეტურ მიღწევებს ვერ შეედრება, ამგვარი პარალელების გავლება რეალურად მართლაც არის შესაძლებელი სტილურ კონსტრუქციებსა და პოეტური ხატწერისთვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშან-თვისებებზე დაყრდნობით.

გრიგოლ ბაგრატიონისა და გარდამავალი პერიოდის სხვა ქართველი პოეტების შემოქმედებაში ქართული რომანტიზმისთვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები არა მარტო პოეტურ ხატწერასა და ენობრივ-ფრაზეოლოგიურ შესატყვისობებში გამოვლინდა მეტ-ნაკლებად შესამჩნევი სახით, არამედ თემატურ-შინაარსობრივადაც. კერძოდ, ნ. ბეპიევის მართებული ხაზგასმით, „გრიგოლ ბაგრატიონის შემოქმედებაში საწყისი

სახით არის მოწოდებული ზოგიერთი ის მოტივი, თემა თუ შეხედულება ან პოეტური ასოციაცია თუ წარმოსახვა, რაც შემდგომი დროს მწერლობაში, რომანტიკოსებთან უფრო ღრმად, დახვეწილად და ხატოვნად შემეცნებულ-გააზრებული წარმოგვიდგება“ (ბეპიევი 2006: 73).

გრიგოლ ბაგრატიონის პოეტური მემკვიდრეობის შეფასების დროს აქ აშკარად გამოვლენილ იმ სიახლოვესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც მის პოეტურ ტექსტებსა და წინამორბედი პოეტების შემოქმედებას შორის არსებობს. კერძოდ, ნ. ბეპიევის მართებული ხაზგასმით, გრ. ბაგრატიონის პოეზიაში, განსაკუთრებით კი მის სატრფიალო ლირიკაში, „ნაწილობრივ შეინიშნება რუსთაველის გავლენა. იმქვეყნიურ ნეტარებაზე ოცნებით, მიჯნურობის ვარდულობულიანური წარმოსახვით გრიგოლი აღორძინების ხანის მემკვიდრეა. სატრფოს გარეგნული სილამაზის მკობით, პოეტური მეტყველებით თავისი ეპოქის თანადროულია, აშუღური და ბესიკური პოეზიის გამგრძელებელი. სატრფოს სულიერი სილამაზის მკობით, ლექსის ტრაფარეტული ნორმების დარღვევის ცდით იგი რამდენადმე XIX საუკუნის რომანტიკოსების წინამორბედი. ამდენად, მის შემოქმედებაში შერწყმულია ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ტრადიციები“ (ბეპიევი 2006: 91).

გრიგოლ ბაგრატიონის პოეტური მემკვიდრეობისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ იგი ვერსი-ფიკაციული მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა და ავტორი თავის ნააზრევს წინამორბედი და თავისი დროის ქართველი პოეტების შემოქმედებაში ფართოდ დამკვიდრებულ სალექსო საზომებს იყენებს. კერძოდ, გარდა რუსთველური შაირით შექმნილი პოეტური ტექსტებისა, მის პოეზიაში ასევე გვხვდება ათ-, თერთმეტ-, თორმეტ-, თოთხმეტ- და ოცმარცვლიანი იზომეტრული ვერსიფიკაციული საზომებით შექმნილი ნაწარმოებები.

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები გრიგოლ ბაგრატიონის მიერ შექმნილი შემოქმედებითი მემკვიდრეობისა, როგორც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთი პატარა პოეტური შენაკადისა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბეპიევი 2006: ბეპიევი ნ., გრიგოლ ბაგრატიონი. ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 2006.

ფრონელი 1907: ფრონელი ალ., ამბოხება კახეთისა (1812 წ.). ტფილისი, 1907.

ჯავახიშვილი 2008: ჯავახიშვილი ნ., გრიგოლ I, უკანასკნელი ქართველი მეფე. თბილისი, 2008.